



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 156  
2011 წლის 10 ნოემბერი

ქალაქი ხაშური

## ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამის დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამა საერთო ბიუჯეტით 3250 (სამიათასორასორმოცდაათი ლარი)  
/დანართი №1/
2. განკარგულება გაეზაუნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის საჯარო სკოლაში განსახორციელებელი პროგრამის (შემდგომში პროგრამა) მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის განათლების მიღებაში ხელის შეწყობა;
2. პროგრამის მიღებას საფუძვლად უდევს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი და ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის მოსახლეობის თხოვნა გადაჭრილ იქნეს მათ წინაშე მდგარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც დაკავშირებულია მათი ახალგაზრდებისათვის განათლების მიღებასთან.

მუხლი 2. პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად წაღვლის საჯარო სკოლაში ჩატარდება სარემონტო სამუშაოები; კერძოდ მოხდება დაზიანებული კედლის და იატაკის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა სანიაღვრე არხი.

მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დაიწყება 2011 წლის 20 ნოემბრს და დასრულდება 2011 წლის 20 დეკემბერს.

მუხლი 4. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის სართო ბიუჯეტია 3250 (სამიათას ორას ორმოცდაათი) ლარი.